




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N47

2016 წლის 6 ივნისი

ხაშური



2016 წელს განსახორციელებელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური დანიშნულების ორგანიზაციების ხელშეწყობის, მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მუნიციპალური პროგრამა


პროგრამის მიღებით მოხდება რელიგიური დანიშნულების ორგანიზაციების ხელშეწყობა, აღნიშნული პროგრამა რამოდენიმე წელია ხორციელდება და აქვს დადებითი შედეგები, დასრულდა რამდენიმე რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია, რისი დასრულებაც წლების მანძილზე პრობლემას წარმოადგენდა, ასევე მიმდინარე წელს პროგრამით გათვალისწინებულია რელიგიური დანიშნულების ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, ამავე კანონის მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს 2016 წელს განსახორციელებელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური დანიშნულების ორგანიზაციების ხელშეწყობის, მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მუნიციპალური პროგრამა დანართი №1-ის შესაბამისად. (თან ერთვის)
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www. Khashuri: org.ge](http://www.Khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15);

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი

პ რ ო გ რ ა მ ა

2016 წლისთვის
ზომის ერთეული 50 000 ლარი

1. პროგრამის სახელწოდება
2. 2016 წელს განსახორციელებელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური დაწესებულების ორგანიზაციების ხელშეწყობის, მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მუნიციპალური პროგრამა
3. პროგრამის განხორციელების არეალი
ხაშურის მუნიციპალიტეტი
4. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი
1 იანვარი 2016წ.
31 დეკემბერი 2016წ.
5. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით

6. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

--50 000-- (-ორმოცდაათი ათასი--) ლარი.
(თანა) (სიტყვიერად)
7. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ა) ძირითადი ---- ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ----

--50 000--ლარი.

(თანხის ოდენობა)

8. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო

---- ეკონომიკური განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილება ----

9. პრობლემების აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება და განხორციელების პრინციპები:

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს რელიგიური ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა სახის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც მიმართულია მშენებლობის და ინფრასტრუქტურული სახის პროექტების განხორციელებისაკენ, ეს აღდგენითი სამუშაოები ხორციელდება როგორც რელიგიური ობიექტების გარეთ, ასევე მის შიგნითაც.

ხაშურის მუნიციპალიტეტი ხელშეწყობის მიზნით აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით, მაგრამ არაუმეტეს 50%-ისა წახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბავშვო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური ობიექტების მშენებლობის და ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც გარეთ, ასევე მის შიგნითაც.

ხაშურის მუნიციპალიტეტი მზადყოფნას აცხადებს მოთხოვნის შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში სრული დაფინანსებით განხორციელოს რელიგიური ორგანიზაციების მიერ დაფუძნებული სასწავლო დაწესებულებებისათვის (ა(აი)პ, სკოლა) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სასწავლო ინვენტარის შექმნა.

10. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1.	<p>ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული პროექტების შედეგად მშენებლობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება როგორც გარეთ, ასევე მის შიგნითადაც.</p> <p>იმ ორგანიზაციათა (საზღვრეო ზაგა-ზაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები, არარეგისტრირებული კავშირი, არასამწარმო (არაკომერციული) იურიდიული პირები და სხვა), მუშაობის ხელშეწყობა, რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც გარეთ, ასევე მის შიგნითადაც.</p>	<p>ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა</p>
3	<p>რელიგიური ორგანიზაციების მიერ დაფუძნებული სასწავლო დაწესებულებებისათვის (ა(ა)პ, სკოლა) მატერიალურ-ტექნიკური ზაზის გაუმჯობესება, სასწავლო ინვენტარის შექმნა.</p>	

11. პროგრამის ამოცანები და მათი წარმატების შეფასების ინდიკატორები

პროგრამის ამოცანები	
1.	ინფორმაციის გავრცელება აღნიშნული პროგრამის შესახებ
2.	პროექტების თანადაფინანსება

12. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	პროგრამით (ქვეპროგრამით) გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	<p>ის ორგანიზაცია (საბავშვო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და სხვა (შემდგომში ორგანიზაცია), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გარანტიის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც გარეთ, ასევე მის შიგნითაღ.</p>		თანადაფინანსება არაუმეტეს 50%-სა	
2	<p>რელიგიური ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სასწავლო დაწესებულება რომელიც მოახდენს (ა(აი)პ, სკოლა) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, სასწავლო ინვენტარის შექმნას.</p>		დაფინანსება 100%	

	სულ:			
--	-------------	--	--	--

13. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1.	ინფორმაციის გავრცელება აღნიშნული პროგრამის შესახებ												
2.	პროექტების თანადაფინანსება												

14. დამატებითი ინფორმაცია

- პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტიდან თანადაფინანსებას მიიღებს ყველა ის ორგანიზაცია (საბავშვო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და სხვა) (შემდგომში ორგანიზაცია), რომელიც საკუთარი სახრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც გარეთ, ასევე მის შიგნითაც.
- პროგრამის ფარგლებში სრულ დაფინანსებას მიიღებს რელიგიური ორგანიზაციების მიერ დაფუძნებული სასწავლო დაწესებულება (ა.ი)პ, სკოლა) რომელიც უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, სასწავლო ინვენტარის შექმნას.
- დასაშვებია მუნიციპალიტეტიდან თანადაფინანსების მიმღებმა ორგანიზაციამ თვითონაც მოახდინოს პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა მატერიალური, ტექნიკური, შრომითი ან ადამიანური რესურსით.
- თანადაფინანსების გაცემა ხდება ორგანიზაციასა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ან შესაბამისი განცხადების წარმოდგენის გზით.
- ანაზღაურება მოხდება ორგანიზაციის მიერ სამუშაოს შესრულების ამსახველი დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, შესაბამისი ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.) წარმოდგენის და გამგობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის შესაბამისი სპეციალისტების მიერ სამუშაოს შესრულებისა და მოცულობების საბაზრო ღირებულებასთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში“.